ქ.თბილისი 9 აპრილის ქ.N2 www.ssps.gov.ge

2 92 16 31 (44 22)(44 36) facebook.com/ssps.gov.ge

www.contact@ssps.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვევამდელის არჩევანი

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი 9 აპრილის ქ.N2 www.ssps.gov.ge

2 92 16 31 (44 22)(44 36) facebook.com/ssps.gov.ge

www.contact@ssps.gov.ge

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური არის საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულება, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს სახელმწიფო აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების, აგრეთვე საქართველოში ვიზიტით მყოფი უცხო ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და სხვა მნიშვნელოვანი პირების ფიზიკურ დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური აცხადებს 18-დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელთა მიღებას ერთწლიან საკონტრაქტო სამსახურში ჩასარიცხად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხებიან საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას და განათლებით, ფიზიკური მომზადების დონით, ჯანმრთელობის მდგომარეობითა და პიროვნული თვისებებით შეძლებენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

საკონტრაქტო სამსახურში ჩასარიცხი კანდიდატის სიმაღლის მინიმალური ზღვარია 174 სმ.

საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხული წვევამდელები უზრუნველყოფილ იქნებიან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევით და სპეციალური პრემიებით. სპორტსმენები და სტუდენტები ისარგებლებენ დამატებითი მოკლევადიანი შვებულებით.



საკონტრაქტო სამსახურის გავლა წვევამდელებს ჩაეთვლებათ სამხედრო სავალდებულო სამსახურად. სამუშაო რეჟიმი განსაზღვრულია ყოველ 3 დღე-ღამეში ერთხელ 24 საათიანი მორიგეობით, ქ.თბილისში, ქ.ბათუმსა და ქ.ქუთაისში მდებარე დასაცავ ობიექტებზე.

საკონტრაქტო მოსამსახურის ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 135 ლარს.

საკონტრაქტო სამსახურში ჩასარიცხი კანდიდატები, ერთ თვემდე ვადით, სადღეღამისო შეკრებას გაივლიან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სასწავლო ცენტრის ბაზაზე (ქ.თბილისი, ყვარლის ქ. N160).

სადღეღამისო შეკრების განმავლობაში კანდიდატები იცხოვრებენ კეთილმოწყობილ ყაზარმებში და უზრუნ ველყოფილ იქნებიან სამჯერადი კვებით.

წვევამდელები თეორიულ მომზადებას გაივლიან თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ აუდიტორი ებში.

საკონტრაქტო სამსახურის გავლის შემდეგ მომსახურეებს შესაძლებლობა ეძლევათ მუშაობა გააგრძელონ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე.

სასწავლო ცენტრი აღჭურვილია ფიზიკური განვითარებისა და აქტიური დასვენებისთვის აუცილებელი სპორტული მოედნებითა და სავარჯიშო დარბაზებით.